სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 მარტი, 2026 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 07-01/15

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **შინაგანაწესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებაში **ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 09 ივლისის №07-01/16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №07-01/14 გადაწყვეტილების, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (№07-02/03, 24/03/2026 წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ,

გადაწყვიტა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო **უნივერსიტეტის შინაგანაწესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებაში **შევიდეს ცვლილებები,** კერძოდ, გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შინაგანაწესის (№1 დანართი) **მე-12 მუხლის** (,,პერსონალის მივლინება“) **მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   ,,6. ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელიც ამავდროულად არის ეროვნული ან/და სხვა საგრანტო პროექტის მონაწილე ძირითადი პერსონალის წარმომადგენელი (მენეჯერი, ხელმძღვანელი, მკვლევარი) ან მოიპოვებს ინდივიდუალურ საერთაშორისო სამეცნიერო გრანტს, სტიპენდიას **ან სხვა გრანტს** (მათ შორის სადოქტორი, პოსტ-სადოქტორო), რომელიც ითვალისწინებს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში (უნივერსიტეტში/ინსტიტუტში) საქმიანობის განხორციელებას, უფლებამოსილია **არაუმეტეს ერთი წლის ვადით** გაემგზავროს ქვეყნის გარეთ შესაბამის დაწესებულებაში სამეცნიერო აქტივობის შესასრულებლად **(შემდეგში - ბსუ-ს მეცნიერის საერთაშორისო მობილობა)**, თუმცა ვალდებულია შეასრულოს ბსუ-ს შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორის/სამეცნიერო განყოფილების უფროსის და ბსუ-ს მართვის

ორგანოთა მოთხოვნები (მათ შორის მიმდინარე ანგარიშების/სამეცნიერო ანგარიშის წარდგენის თაობაზე), ასევე ინდივიდუალური/ეროვნული/საერთაშორისო საგრანტო პროექტებით ნაკისრი ვალდებულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ასეთ შემთხვევაში ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობის პირმა შესაძლოა ისარგებლოს ბსუ-ში შრომითი საქმიანობის პერიოდში 5 (ხუთ) წელიწადში ერთხელ (შესაძლოა ისარგებლოს მოკლევადიანი პერიოდით, ნაწილ-ნაწილ, მაგრამ ჯამში არაუმეტეს 12 თვე). ბსუ-ს მეცნიერის საერთაშორისო მობილობის პერიოდში ბსუ-ს წესით ან/და ბსუ-ს უფლებამოსილი პირის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე შესაძლოა ინიცირებული იქნეს საკითხი, მინიჭებული შეღავათის გაუქმების და საერთაშორისო მობილობის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადდეს **კოდიფიცირებული ბსუ-ს შინაგანაწესი** და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები", ,,სტუდენტთა გზამკვლევი“, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში (მარეგულირებელ აქტებში).

3. კოდიფიცირებული **ბსუ-ს შინაგანაწესი,** წინამდებარე გადაწყვეტილების გამოცემიდან **არაუგვიანეს 10 დღეში** დაეგზავნოს გასაცნობად: **ბსუ-ს პერსონალს** - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით; **სტუდენტებს** - ბსუ-ს პორტალის მეშვეობით; **პროფესიულ სტუდენტებს** და მსმენელებს, ასევე **პროფესიული განათლების მასწავლებლებს** - ელექტრონულ ფოსტაზე (მათთვის გაცნობა უზრუნველყოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა).

4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს (გაცნობის მიზნით): **ბსუ-ს პერსონალს** - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით; სტუდენტებს - ბსუ-ს პორტალის მეშვეობით; **პროფესიულ სტუდენტებს** და მსმენელებს, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებს ელექტრონულ ფოსტაზე (მათთვის გაცნობა უზრუნველყოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა).

5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ კარალიძე**